ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5970175

ნომერი: AR1904497

თარიღი : 03.06.2022

გაცემის თარიღი : 07.06.2022

გაცნობის თარიღი : 07.06.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნეკერჩხლის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინა დარბაიძე პ/ნ 01027069073
- თბილისი ივერი ფრანგიშვილის IV გას. N 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

გაცნობებთ, რო AR1902027განცხადებით სამასახურში უკვე ფიქსირდება აღნიშნული საკი, სადაც შუალედური გადაწყვეტილებით გეცნობათ ხარვეზების შესახებ. გთხოვთ განმარტოთ გსურთ თუ არა AR1902027 განცხადების განუხილველად დატოვება და საკითხის ახლიდან განხილვა, რა შემთხვევაშიც საჭირო იქნება ასევე AR1902027 განცხადებაზე აღნიშნული მოთხოვნის დაფიქსირება, შემობრუნების გარეშე პასუხის გაცნობიდან 15 სამუშაო დღეში აღნიშნული განცხადება ავტომატურად დარჩება განუხილველი.

ფოტომონტაჟი და არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები საჭიროა ატვირთულ იქნას შესაბამის ველში.

1."საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობით 1 წელზე მეტი ვადით დადებული გარიგებების (მათ შორის, გარიგებებისა, რომელთა საერთო ვადა აღემატება 1 წელს) უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.ვინაიდან, წარმოდგენილი ხელშეკრულების ვადა აღემატება 1 წელს(ხელშეკრულების 5.1 პუნქტი), საჭიროა ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. 2.წარმოადგინეთ შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას მინდობილობაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (გაითვალისწინეთ სამეწარმეო რეესტრში დაცული წესდების თანახმად გენერალური დირექტორები ერთობლივად წარმოადგენენ კომპანიას).

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.